საექსპერტო შეფასება

შესრულებულია არქიტექტურული პროექტის "ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N43 (ს/კ: 01.19.21.001.118)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: საგამოფენო დარბაზი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორი: შ.პ.ს „კირკიტაძე და კომპანია" / ირაკლი კეკელია

წარმოდგენილი მასალა: არქიტექტურული პროექტი („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობით)

გამოსაკვლევი ნაწილები:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე საექსპერტო შეფასება მოიცავს არქიტექტურული პროექტის შემდეგ ნაწილებს:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

გამოკვლევა

ა) დაკავებულობისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის დაკავებულობის კლასიფიცირების მესამე თავის მიხედვით მოიცავს მხოლოდ ერთ დაკავებულობის ჯგუფს:

თავშეყრის ჯგუფი - თვ-3 (საგამოფენო დარბაზი ±0.00 ნიშნულზე)

აღნიშნული შეესაბამება 303.4 ქვეთავს.

დაკავებულობის ჯგუფის კლასიფიცირება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 303-ის მიხედვით.

- დაკავებულობის დატვირთვის ნაწილში საპროექტო დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია აკმაყოფილებს „წესების“ 1004.1.2 ცხრილის მოთხოვნებს, კერძოდ: მიკუთვნებულია საგამოფენო გალერეების სივრცის სტატუსი და შემდეგ მთლიანი ფართობი გაყოფილია შესაბამის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე ანუ 2,7-ზე.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავი 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

ბ) კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- პროექტის ავტორის მიერ საპროექტო შენობისათვის მიკუთვნებული კონსტრუქციის ტიპი (II-B ტიპი) შერჩეულია შენობის დაკავებულობის, ფართობისა და სართულიანობის გათვალისწინებით და აკმყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემეტებისათვის კონსტრუქციის ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო ობიექტის სიმაღლე და ფართობი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციის ტიპთან (II-B) და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს. შენობის სიმაღლე მიწის დონესა და სახურავის ყველაზე მაღალი ზედაპირის საშუალო სიმაღლემდე განსაზღვრულია სწორად და არის 7.30 მეტრი.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 5, ქვეთავი 202 და 503, ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- შენობას დაკავებულობის დატვირთვიდან და გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(2)) ესაჭიროება და აქვს კიდევაც ორი გასასვლელი, გზა-კარების სახით. საგამოფენო სივრციდან, რომელიც მიწის დონიდან 0.45 სმ-ით მაღლა მდებარეობს, საზოგადოებრივ სივრცეში (-0.45 ნიშნულზე) მოხვედრა ერთ შემთხვევაში შესაძლებელია „ა“ ღერძის „4-5“ მონაკვეთზე მოწყობილი გზა-კარის საშუალებით (ამ გზა-კართან მიდგომა ხდება სამსაფეხურიანი კიბისა და 6%-იანი პანდუსის გავლით), ხოლო მეორე შემთხვევაში „ა“ ღერძის „8-9“ მონაკვეთზე მოწყობილი გზა-კარის საშუალებით (ამ მონაკვეთში შენობა და მის წინ მოწყობილი სავალი ნაწილი 0.00 ნიშნულზეა განთავსებული). გზა-კარები ერთმანეთისგან დაშორებულია ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილზე, რაც აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- გასასვლელამდე მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს 1016 ქვეთავის მოთხოვნებს (მაქსიმალური სავალი მანძილი თვ დაკავებულობისთვის პროექტის მიხედვით არ აღემატება 1016.2 ცხრილით დადგენილ 60 მეტრს);

- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

ე) **გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:**

- ორივე გზა-კარის (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს და აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს;

- შენობაში არსებული ყველა სხვა კარის ზომები და რაოდენობა, პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

- სამსაფეხურიანი შიგა კიბის სიგანეა 1.20 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს,

- შიგა კიბეს და პანდუსს აქვს საერთო ბაქანი, რომლის სიგრძე და სიგანე მისაღებია, როგორც კიბისთვის ასევე პანდუსისთვის და აკმაყოფილებს 1009.8 და 1010.7 ქვეთავის მოთხოვნებს. კიბეს და პანდუსს, 1012 ქვეთავის შესაბამისად, ორივე მხარეს გააჩნია სახელურები. ვინაიდან ამაღლება 0.75 მ-ზე ნაკლებია (შეადგენს 0.45 მეტრს) მოაჯირების მოწყობის საჭიროება 1013.2 ქვეთავის მიხედვით არ იყო, თუმცა კიბეზეც პანდუსზეც და ბაქანზეც მოაჯირები მოწყობილია.

<u>გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

ვ) მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობის ორი შესასვლელიდან ერთ-ერთი (მთავარი) არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ მთავარ შესასვლელთან, შიდა სივრცეში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მოწყობილია 6%-იანი ქანობის პანდუსი, რომლის ზომები სავსებით აკმაყოფილებს „წესების“ 1010.3, 1010.5 და 1010.6 ქვეთავების მოთხოვნებს;

- შენობაში გათვალისწინებულია ერთი დამოუკიდებელი მისაწვდომი ტუალეტი და აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შშმ პირთა გადადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობაში და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად ;

- სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლა-გეზი.

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- კონსტრუქციის ტიპის (II-B) და ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით ცეცხლმედეგობის ხარისხი ესაჭიროება მხოლოდ „ა-ბ“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედელს (1 სთ), რაც პროექტით გათვალისწინებულია. რაც შეეხება 705.8 ცხრილის მიხედვით ამ კედელში მოსაწყობი ღიობის ფართობს (დაუცველი საშხეფების გარეშე) ის არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, თუმცა ამ კედელში ღიობი არარის მოწყობილი.

- რაც შეეხება დანარჩენ გარე კედლებს, მათი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები 3,0 მ-ზე მეტია და 602 ცხრილის მიხედვით ხანძარმედეგობა არ მოეთხოვება (II-B ტიპის კონსტრუქციის გათვალისწინებით). გამომდინარე აქედან „2-9“ ღერძებს შორის მდებარე გარე კედელში მოსაწყობი დაუცველი ღიობების ფართობი, 705.8.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის შესაბამისად, შეუზღუდავია.

- 705.11 ქვეთავის თანახმად პარაპეტი ესაჭიროება მხოლოდ “ა-ბ“ ღერძებს შორის მოქცეულ გარე კედელს, რაც პროექტით გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს 705.11.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენიშვნა: გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

თ) სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის ქანობიანი, რომლის ნაშვერების ზომა (3 მხრიდან) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების გათვალისწინებით აკმაყოფილებს 705.2 ცხრილის მოთხოვნებს. მეოთხე მხარეს („ა-ბ“ ღერძებს შორის), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სახურავს გასდევს პარაპეტი. სახურავის ძირითად კონსტრუქციად გამოყენებულია

ლითონის ორტესებრი კოჭები, შველერები და მილკვადრატები, ხოლო ფენილად, რომელიც ამ შემთხვევაში ბურულიც არის, გამოყენებულია სენდვიჩ-პანელი. სახურავი არის ორქანობიანი. სახურავის კონსტრუქციას ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ცხრილის მიხედვით (ისევ და ისევ II-B ტიპის კონსტრუქციის ტიპის გამო) არ მოეთხოვება.

შენიშვნა: სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს;

ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საპროექტო შენობა მოიცავს მხოლოდ ერთ დაკავებულობის ჯგუფს (თვ-3), შესაბამისად (დაკავებულობების მიხედვით) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების არსებობას, ცხრილი 508.4-ის თანახმად, არ საჭიროებს და შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული არ არის.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 508, ცხრილი 508.4.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- მთელ შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები;
  შენიშვნა: ხელის ცეცხლმაქრების განთავსება უნდა მოხდეს 906 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- „წესების“ მე-9 თავის მიხედვით თვ-3 ჯგუფის დაკავებულობისთვის ავტოსაშხეფი სისტემის განთავსება შენობაში საჭირო არ არის, ვინაიდან არ აკმაყოფილებს 903.2.1.3 ქვეთავში ჩამოთვლილთაგან არც ერთ მდგომარეობას.

- რაც შეეხება ხანძრისაგან დაცვის სხვა სისტემებს, მათი მოწყობა, „წესების“ მე-9 თავის მიხედვით, ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 9.

ხანძრისგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა, შენობის საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე, შეესაბამება „წესების“ 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- გათვალისწინებულია ერთი დამოუკიდებელი მისაწვდომი ტუალეტი.

- ასევე გათვალისწინებულია 1 სამომსახურო ნიჟარა.

- შენობაში გათვალისწინებულია სასმელი წყლის აპარატი, რასაც თავისთავად გააჩნია წყლის დასალევი შადრევნის ფუნქცია და შეესაბამება „წესების“ მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1

<u>წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>

დასკვნა

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N43-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.21.001.118) დაპროექტებული საგამოფენო დარბაზის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია “ტექნიკური რეგლამენტის “შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

<u>გაფრთხილება!</u>

1. კონსტრუქციული, საინჟინრო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების დაცვით.
2. არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.

3. უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არის.

ექსპერტი:  მაკა ძიძიგური

გამოყენებული მასალები:

შ.პ.ს „კირკიტაძე და კომპანია“ -ს მიერ შესრულებული არქიტექტურული პროექტი.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

1. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება.
2. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

მისამართი: ქ. თბილისი, მობ: 577 15 11 27

ბერიტაშვილის ქ. 31 mail: makadzidziguri@yahoo.com

მაკა ძიძიგური

პერსონალური მონაცემები:

დაბადების თარიღი: 28.08.1970წ.
დაბადების ადგილი: ქ.თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
ეროვნება: ქართველი

განათლება:

1987-1994 ქ. თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი - არქიტექტურის ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება:

1994-1997 შ.პ.ს "გრასინტერპროექტი" – არქიტექტორი

2002-2004 შ.პ.ს "თბილქალაქპროექტი" – არქიტექტორი

2004-2005 შ.პ.ს "პირამიდა-98" – არქიტექტორი

2005-2007 ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – ქალაქგეგმარების განყოფილება წამყვანი სპეციალისტი

2007 აპრილი
2007 ოქტომბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური – სანებართვო განყოფილება მთავარი სპეციალისტი

2007 ოქტომბერი
2007 დეკემბერი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი

2007 დეკემბერი *2008 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარცხენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 ოქტომბერი *2008 დეკემბერი*	ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2008 დეკემბერი *2010 ოქტომბერი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - მარჯვენა სანაპიროს სანებართვო განყოფილების უფროსი
2010 ოქტომბერი *2015 იანვარი*	ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახური - I და II კლასების სანებართვო განყოფილების უფროსი

სერთიფიკატები:

23.04.05წ. - 05.05.05წ.	ქალაქებისა და ახალი ურბანული ერთეულების განვითარება მენეჯმენტის საკითხებში (კაირო, ეგვიპტე)
01.11.07წ. - 30.11.07წ.	საჯარო სექტორის საკითხებში მენეჯმენტის კურსი (კუალა ლუმპური, მალაიზია)
09.01.09წ. – 14.01.09წ.	ტრენერთა ტრეინინგის კურსი
17.03.17წ. – 11.04.17წ.	შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების კურსი

უცხო ენები:

ქართული	–	ძალიან კარგად
ინგლისური	–	კარგად
რუსული	–	ძალიან კარგად

პროგრამები: ***MS Office (MS Word, Excel); AutoCAD; ArchiCAD; Power Point; Photoshop.***

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 003930

This is to certify that Mr./Mrs. Maka Dzidziguri in the year 1994 completed a full academic course of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 12, 1995 Mrs. Maka Dzidziguri is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector ...

Seal

Chairman of the State Examination Board ...

Dean ...

City Tbilisi November 20, 2001

Registration № 04135 Secretary ...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 003930

მიეცა ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს

მასზედ, რომ მან 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის 12. VII გადაწყვეტილებით ქალბატონ მაკა ვაჟას ასულ ძიძიგურს მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია

რექტორი ...

ბეჭედი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ...

დეკანი ...

ქალაქი თბილისი 20. XI. 2001წ.

სარეგისტრაციო № 04135 მდივანი ...

სერტიფიკატი

№ 2017-020

გადაეცემა

მაკა ძიძიგურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი